გურანდა იობაშვილი

მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა

2026 წლის 1-5 ივნისს, ჩეხეთის ქალაქ ბრნოში, Erasmus+ პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, გურანდა იობაშვილმა, მონაწილეობა მიიღო მასარიკის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში.

საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ მასარიკის უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის, სტუდენტთა მობილობისა და ადმინისტრაციული პროცესების მართვის პრაქტიკას. პროგრამა მოიცავდა თემატურ სესიებს Erasmus+ პროგრამის ადმინისტრირების, საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერის, უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციისა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში, გურანდა იობაშვილმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, დისკუსიასა და სამუშაო სესიაში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. ასევე, პროგრამა მოიცავდა კულტურულ აქტივობებს, რომლებიც მონაწილეებს ჩეხეთის ისტორიის, კულტურისა და საგანმანათლებლო გარემოს უკეთ გაცნობის შესაძლებლობას აძლევდა.

ვიზიტის მიზანი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, გამოცდილების გაზიარება და იმ პრაქტიკების გაცნობა, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა მომსახურებისა და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას. პროგრამაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო პროფესიული განვითარების, საერთაშორისო კავშირების გაღრმავებისა და ახალი თანამშრომლობის პერსპექტივების შექმნისთვის.